სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

კვირა, 27 ოქტომბერი, 1918 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორომა

№ 62

გაზეთის ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.
სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.
რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома", Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

რედაქციისაგან.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს გაზეთზე მომუშავე ასოთ-ამწყობები თავიდან ძლიერ შეღავათიან პირობებში იყვნენ (ფულს წინდაწინ ღებულობდენ, გაზეთზე ყოველთვის 1—2 ზედმეტი მუშა იყო) მუშების ერთმა ნაწილმა რედაქციისათვის სრულიად მოულოდნელად მუშაობას თავი მიანება: ზოგმა მათგანმა თავის ანგარიში მიიღო და რედაქციის გაუფრთხილებლათ მუშაობა მიატოვა, ზოგმა კი პირველ ნოემბრამდი ფული მიიღო და სადღაც გაიპარა. მუშების ასეთი უტიფრობის გამო, რედაქცია იძულებულია დროებით გაზეთის ნახევარი ფურცელი გამოსცეს, რისთვისაც ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე.

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

დანიშნულია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეორე ყრილობა.

დღიური წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ახალი კლუბი

(საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, სოციალისტ-რევოლიუციონერთა გაზეთ „შრომას" ფონდის გასამლიერებლად

გაიმართება

სიმფონიური კონცერტი

ა. ა. ცენოვსკის ხელმძღვანელობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ. ბ. ზადაზსკი, ვრონსკი, საბინინი, ჭანნა სკვორეცკაია, ხუხნიოდი, ეგგენი სერგეევი, ზარდადოვი და სხვ.

როიალთან: ა. ა. ცენოვსკი, ე. დ. საბინ-გუს

კონფერანსიე სერ გრიფ

ამერიკული აუქციონი

პასუხისმგებელი გამგენი:
ქალ. მ. დორთქიფანიძისა და ექიმი ი. აბაკელია.

ქ. თბილისი, 27 ოქტომბერი.

დამოკიდებულება ჩვენსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის, სამწუხაროთ, რთულდება. არ ვიცით რა ხასიათს მიიღებს და რით გათავდება ბორჩალოში მომხდარი კონფლიქტი, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ამ ორი რესპუბლიკის შეიარაღებული შეტაკება საშინელი უბედურება იქნება ორივე ერის დემოკრატიისათვის და უდიდეს დანაშაულათ ჩაეთვლება მის პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელთ.

ვინ უნდა შეებრძოლოს იარაღით ერთი მეორეს? სომხის დემოკრატია ქართველ დემოკრატიას, ქართველი სოციალისტები სომეხ სოციალისტებს?!

მერე რისთვის?!

დავა არის საზღვრების შესახებ, მაგრამ ამ საკითხის დემოკრატიული გზით გადაჭრა ხომ სავალდებულოა ჩვენთვის, როგორც დემოკრატებისა და სოციალისტებისათვის?!

ერთი მეორეს უნდა შეებრძოლოს ქართველი და სომხის ერი, რომელთა თავისუფალი არსებობა და ბედნიერი მომავალი მხოლოდ ურთიერთი დახმარებითა და ძმური კავშირითაა შესაძლებელი?!

არა, ეს შეუძლებელია!

ქართველი და სომხის დემოკრატია თვითმკვლელობას ვერ ჩაიდენს...

ჩვენ გვწამს, ის მიიღებს ყოველივე ზომებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციისათვის და მით ავანტიურისტებს იმედებს გაუცრუებს...

ხალხთა ლიგა.

მეომარ სახელმწიფოთა ორივე ბანაკში ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ხალხთა ლიგის შესახებ, და სხვათა შორის, ვილსონიც თავის საზავო პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუხლათ ხალხთა ლიგის დაარსებას აღიარებს.

გერმანიაში ამის შესახებ ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰკივიან თვით ისინიც კი, ვინც ხალხთა ლიგას ინსტიქტიურათ უნდა უფრთხოდეს და უფრთხოდენ კიდეც აქამდე. შედარებით უფრო ჩუმათ ისმის ხმა ხალხთა ლიგის დაარსების სასარგებლოთ ინგლის-საფრანგეთში, თუმცა იქაც მის ორგანიზაციას აუცილებელ პირობათ აღიარებენ „მომავალში ასეთ საშინელ სისხლის ღვრის თავიდან აცილებისათვის".

მაგრამ ჩვენ, ცოდვილებს, ყოველთვის გვჩვევია იჭვის თვალით შევხედოთ ყოველივე მას, რაც იმპერიალისტებისაგან გამომდინარეობს და მით უმეტეს იჭვის თვალით უყურებთ ჩვენ იმ ხალხთა „ლიგის" იდეას, რომელიც ხელით საგოგმანებელ მარგალიტათ გადაიქცა იმპერიალისტებისათვის, რადგან ჩვენთვის აშკარაა, რომ მათგან კეთილი არასოდეს არ გამოსულა და არც გამოვა. ის, *mutatis mutandi* იმპერიალისტების ბუნების შესაფერ შინაარს და სახეს მიიღებს.

მართლაც, იმპერიალისტები ყველა *en blok* მოითხოვენ მომავალ ზავის სამართლიანობის, ჭეშმარიტების და სხვა მრავალ მაღალ პრინციპებზე აგებას. მომავალ მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად ისინი მოითხოვენ ხალხთა ლიგის დაარსებას, რომელიც გარანტია უნდა იქნეს ყველა ერის საშინაო ცხოვრების აღორძინებისა და აყვავებისათვის. მაგრამ „შუბი ხალთაში არ დაიფარება" და იმპერიალისტებსაც, ლამაზ სიტყვების ნიაღვარის შემდეგ, წამოსცდებათ ისეთი რამ, რაც ნათლად ააშკარავებს მათ სულის კვეთებას და ნიღაბს ხსნის მათ იმპერიალისტურ ბუნებას.

ასე იყო, ასეა ეხლაც და ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ვილსონის მიერ 27 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შეეხება საზავო მოლაპარაკები ახალ პროგრამის მუხლებს. თქვენ სიტყვის წაუკითხავადაც შეგიძლიათ a priori იმის თქმა, რომ ამ სიტყვის თავი უსათუოდ სამართლიანობის და თანასწორობის „აპოლოგია" იქნებაო. თქვენ არ შესცდებით. აი ეს სიტყვაც: 1) „იმ ქვეყნებმა, რომელნიც ხალხთა ლიგაში შევლენ, უარი უნდა სთქვან ყოველგვარ პრივილეგიებზე და დასთანხმდენ ხალხთა კავშირში შესულ ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე... და ასე, ამ ჰანგზე მდერის შემდეგი მუხლებიც: 2) საერთო კავშირში არ უნდა ექნეს ალაგი კავშირს ან შეთანხმებას ამ თუ იმ ხალხს შორის; 4) კავშირში ცალკე ხალხმა არ უნდა დაისახოს რაიმე ეკონომიური სარგებლობის მიზანი; აკრძალულია ყოველგვარი ეკონომიური ბოიკოტი. შაგრამ კავშირს უფლება აქვს დასაჯოს ესა თუ ის სადხა მსოფლიო მაზრადახ გამორიცხვით." (ხაზი ჩვენია ი-დი.), „მაგრამ" სწორედ ის მაგიური ჯოხია, რომელიც აქარწყლებს ყოველივე ზემოთ ნათქვამს თანასწორობისა და პრივილეგიების უარყოფის შესახებ. თავის თავად ცხადია. თუ რას ნიშნავს გამარჯვებულ „იმპერიალისტურ კოალიციისათვის ეს კავშირის უფლება „მსოფლიო ბაზრიდან ამა თუ იმ ერის გამორიცხვისა." ეს სწორედ ის უფლებაა, რომლის მოპოვებისათვის დაიღვარა და ეხლაც იღვრება სისხლის მდინარეები.

ამ ნაირად აშკარაა, რომ ხალხთა ლიგა იმპერიალისტების ხელში ნამდვილად მხოლოდ იმპერიალისტურ ლიგას ნიშნავს ხოლო ჭეშმარიტ ხალხთა ლიგის დაარსება მხოლოდ საერთაშორისო მშრომელი ხალხის მისიას შეადგენს და ის შედეგათ მოყვება მის ყველა ფრონტზე გამარჯვებას.

იმედი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საგენტოსაგან).

ბერლინი. 22 ოქტ. ადესიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მთავრობამ რუმინიის ყველა ნავთსადგურები შავ ზღვაზე და მდ. დუნაიზე დახურა.

ლონდონი. 22 ოქტ. ირლანდიის გემი „დუნდალპ" ორშაბათს ღამეს ირლანდიის ზღვაში ნალმისგან დაიღუპა. 30 კაცში 13 გადაარჩინეს. დანარჩენების შესახებ ცნობა არაა.

მოსკოვი. 22 ოქტ. ხმები თითქოს ყოფილ მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაეხვრიტათ, ტყუილია. ის კარგათ არის და კიევში იმყოფება.

გადმოცემულია ენზელის რადიოსადგურიდან. პეტროვსკში 22 ოქტ. კავკავ-კასპიის კავშირის მთავარსარდალს ბიჩერახოვს. ჩვენმა ჯარმ. ტიდეენი აიღო და მტერს დაახევინა მერვისკენ. გვჭირია ტყვეები და ზარბაზნები. კუნი.

ლონდონი, 23 ოქტ. ინგლისის რადიო. ინგლისის ოფიციალურ წრეებში შემდეგი აზრი გამოითქვა ის ექპერიმენტები, რომელსაც ახდენენ გერმანიის სამშვიდობო წინადადების შესახებ გამოააშკარავებს მათ ნამდვილ სახეს. უკვე ყველასათვის ცხადაა, რომ გერმანიის წინადადება მხოლოდ ერთგვარი სამხედრო ხერხია, რომელიც გამოიწვია გერმანიის ჯარის კრიტიკულმა მდგომარეობამ, და მოკავშირეთა მოსალოდნელმა ჩამოშორებამ. როგორც საზავო ისე სამხედრო საქმეს აწარმოებენ ერთი და იგივე ავტორიტეტები და ამიტომაც ერთგვარი აზრი და მიზანი აქვთ. თუ დამარცხება ბრძოლით ვერ აიცილეს, ის უნდათ აიცილონ კონფერენციათა და კომპრომისების საშვალებით. გადადგეს თუ არა ასეთი ნაბიჯი, მათი პოზიცია ყველასათვის ნათელი შეიქნა. თუ გერმანიის სამხედრო ძალა იძულებულია ბრძოლის ახალ საშუალებას მიმართოს, ამ შემთხვევაში მას უნდა გაეცეს სამხედრო და არაპოლიტიკური პასუხი. ჩვენდა საბედნიეროთ, მოკავშირეთ გვაქვს ახლა საშუალება გავსცეთ ასეთი სამხედრო პასუხი. გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელთ, რა სამოსელშიაც არ უნდა გვეჩვენონ ისინი, თავისი გავლენა მაინც რჩება. ვილსონმა უკვე გადაჭრით უარყო მათთან მოლაპარაკება და შეთანხმება. გერმანიის და შეერთებულ შტატების ნოტის გაცვლა-გამოცვლამ, თუ სასურველი შედეგი არა, დიდი სარგებლობა მაინც მოიტანა. მან გამოააშკარავა ამ პარტიის ნამდვილი სახე და ცხადჰყო რომ ზავის გულწრფელ წინადადებისათვის აუცილებელია ამ პარტიის დამხობა, რაიცა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გერმანიის სამხედრო ძალიერების დამარცხების შემდეგ.

მთავრობაში.

— დაადგინეს: კანონ-პროექტი დახმარებისა იმ ოჯახთათვის, რომელთაგანაც ერთად-ერთი ოჯახის მუშაკი გაწვეულ იქნება ჯარში, მოწონებულ იქნას და გადაეცეს პარლამენტს.

— ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს, გაგზავნოს მსურველთაგან ნამდვილი სამსახურის ათი აფიცერი ფოთის საზღვაო კურსებზე ზღვაზე მიმოსვლის საქმის სპეციალურ შესასწავლათ.

— გაეხსნას განათლების მინისტრს ათმილიონიან ფონდიდან ოცდაათი ათასი მან. (30,0000) კრედიტი თბილისის საშუალო სასწავლებელთა შენობების შესაკეთებლათ.

— კანონ-პროექტი შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დაკმაყოფილების შესახებ გადაეცეს სახელმწიფო კანტროლიორს დასკვნისათვის.

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათ-მილიონიან ფონ. ოთხას სამოცდათორეტი ათასი მ. (472.000 მ.) კრედიტი ავკასიის სამრეწველო და სამეტალურგიო საზოგადოებისაგან ოქროერცხლის შესაძენათ და სხვა მასთან შეკავშირებული ხარჯებისათვის.

— ჰიათურის მარგანეცის საქციონერო საზოგადოებას მიეცეს ება გადაიხადოს აქციებზე საქტერბის ფასი ნაწილობით, მხოლოთ მ რიგით: პირველი ნახევარი შეოიტანოს ეხლავე, მეორე ნახევარი ქვსი თვის შემდეგ.

— გაეხსნას გზათა მინისტრს ათილიონიან ფონდიდან ექვსას ორცდაათი ათასი მანეთის კრედიტი ტყიბულის მაღაროების საჭიროებათვის.

— ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა წასწარ თათბირზე გადაიდოს უფრო ელსაყრელ დროისათვის.

— თანახმად სახელმწიფო კონროლიორის დასკვნისა, გაეხსნას უსტიციის მინისტრს 10 მილ. ონდიდან 468497 მ. და 60 კ. კრეიტი ქუთაისის გუბერნიის საპუროილეთა შესანახათ ამა 1918 წლის ანმავლობაში.

— კანონ-პროექტი იმ კერძო ონებათა იძულებით ჩამორთმევის ესახებ, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მოწოებულ იქნას და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

— თხოვნა კონდრატ ყურუას და სოლომონ ასლანოვის გვარის ეცვლის შესახებ უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

ახალი ამბავი.

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, ალამოს 7 საათზე ქ. ქუთაისში, ოციალ.-რევოლიუციონერთა პარტიის კლუბში, საქართველოს პარლამენტის წევრი ამხ. ილია მოსეს ძე თევზაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ საკითხებზე:

1. პოლიტიკური მომენტი.
2. პარლამენტის მუშაობა.
3. ცენტრალური კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის მუშაობა.

საჭიროა დაესწროს ყველა ამხანაგები.

● ქართული სატეხნიკო საზოგადოება. ამ დღეებში მოხდა ქართული სატეხნიკო საზოგადოების წლიური კრება, რომელზეც არჩეულ იქმნა გამგეობა შემდეგი შემადგენლობის: ინჟ. გ. გედევანიშვილი (თავმჯდომ.), ინჟ.-ტეხნ. ბ. ჭიჭინაძე (თავმჯდომ. ამხ.), ინჟ.-ტეხნ. ვ. კაკაბაძე (მდივ.), ინჟ.-მექ. გრ. გვერდწითელი (ხაზინ.), სამთო ინჟ. ივ. ყიფშიძე, გზათა ინჟ. ნ. გვარამაძე, ინჟ.-ტეხნ. ს. ფირალიშვილი, ინჟ.-ტეხნ. პ. მამრაძე და ინჟ.-მეტალ. ნ. კორინთელი; სარევიზიო კომისიაში: ინჟ.-მექ. ვ. კანდელაკი, ინჟ.-ტეხნ. ირ. ბურჟანაძე და ტეხნ. პ. ჭკუასელი. ახალი გამგეობა უკვე შეუდგა სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საზოგადოების საქმეების გამო მოლაპარაკება შეიძლება ანჟ. ვ. კაკაბაძესთან, დიდმთავრის ქუჩა, № 70, ტელეფ. 10—43.

● შიმშილით გაფიცვა. მერვე დღეა, რაც მეტეხის ციხეში მოთავსებულმა ბოლშევიკებმა შიმშილით გაფიცვა გამოაცხადეს. ზოგი მათგანი ძლიერ ცუდათ გრძნობს თავს. გაფიცულნი მოითხოვენ ბრალდების წაყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში განთავისუფლებას.

● გაზეთ „შრომის“ თანამშრომლების კრება. დღეს, დილის 10 საათზე რედაქციაში დანიშნულია გაზეთ „შრომის“ თანამშრომლების კრება.

— 24 ოქტ. სათამბ. ქარხნის „კოშეტის“ დათვალიერების დროს შრომის კომისარმა აღმოაჩინა, რომ იქ არ იყო ავათმყოფების მისაღები ოთახი. შრომის კომისარმა წინადადება მისცა ქარხნის პატრონს ერთი კვირის განმავლობაში მიმჩნეული იქნეს ერთი ოთახი ავადმყოფებისათვის.

— გერმანელები ყაზბეგიდან თბილისში ბრუნდებიან.

— სეპარატიული ზავი. გაზ. „აშხატავორის“ ცნობით ოსმალეთმა სეპერატიული ზავი შეკრა მოკავშირეებთან. სტამბოლი მოკავშირეთა ხელში გადავა.

— ფოთის სადგურის უფროსი იტყობინება, რომ რუსეთიდან დაბრუნებული ქართველები მოდიან ფოთში რომელთაც პურის ფულიც არა აქვთ. 24 ოქტომბერს მოაწყდა ფოთს 200 კაცი. სადგურის უფროსი სთხოვს გზათა მინისტრს მიეცეს მათ უბილეთოთ მგზავრობის ნება.

— 25 ოქტ. დილის 5 საათზე ე. ტერუვის სახლში (ნარტიშევ № 14) შევიდა ოთხი შეიარაღებული ბოროტმომქმედი და გაიტაცეს 40 ათასი მანეთი ფულათ.

— ამავე დღეს ვ. პუგინოვის სახლში (კატ. 13) შევიდა 3 ბოროტ გამზრახველი და გაიტაცეს 11 ათასი მანეთი ფული და 12 ათასი მან. ღირებული ნივთები.

● სამხედრო მინისტრმა სადემოსტრაციო განყოფილების უფროსისადმი ბრძანება გასცა, რათა ერთი კვირის განმავლობაში დამზადებულ იქნას ეროვნული კაკარდები ჯარის აცმათვის.

● სამხედრო ფორმის გამომუშავებამდე ოფიცრები მოვალენი არიან ჩაიწერონ ასოები ქ. ლ, ხოლო ჯარის-კაცებს აღნიშნული უნდა ჰქონდესთ თავიანთი ნაწილების ნომერი და ტრაფეტული წარწერა „ქართ.“

● 23 ოქტომბერს აკრამოვიჩისა და ამხანაგების მაკარონის ქარხნის დათვალიერების დროს შრომის კომისარმა აღმოაჩინა შრომის კანონების დარღვევა.

● გზათა სამინისტროსთან არსებული კომისია, რომელიც შტატს გარეშე დარჩენილთა თხოვნებს იკვლევს, ეხერგიულათ მუშაობს. კომისიამ უკვე განიხილა თხოვნები, კომისია თავის დადგენილებებს უგზავნის გზათა მინისტრს სისრულეში მოსაყვანათ.

● ახალი დებულება. გზათა სამინისტროში მუშავდება ახალი დებულება გზათა სამინისტროს შესახებ, რომელიც წინასწარ განსახილველათ წარედგინება იუსტიციის მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს, ხოლო შემდეგ საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლათ.

საქართველოს პარლამენტი.

(25 ოქტომბრის სხდომა.)

25 ოქტომბრის სხდომაზე განხილულ იქნა შავი ზღვის რკინის გზის საკითხი, საფინანსო სამინისტროს ცენტრალური შტატები და მოსმენილ იქნა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულება.

პარლამენტმა უარყო თარხანოვის და თუმანოვის შეკითხვის სისწრაფე ბოლშევიკების შიმშილობის შესახებ.

შავი ზღვის რკინის გზის შესახებ ოს. გობეჩიას (ს.-რ.) მოხსენების და გზათა მინისტრის განმარტების შემდეგ პარლამენტმა დაადგინა— რკინის გზის გაყვანის საქმე მიენდოს გზათა სამინისტროს. გადაიდოს მის განკარგულებაში სათანადო თანხა, სამინისტრო ეცდება სპეციალური კომისიის საშუალებით გაითვალისწინოს რკინის გზის ქ. ზუგდიდზე გატარების შესაძლებლობა.

მოსმენილი დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ განხილული არ იქნა უდროობის გამო. კრება დაიხურა $3^1/_2$ საათზე.

N. S.

გზათა მინისტრთან.

(საუბარი.)

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა გზათა მინისტრთან. მან შემდეგი გადმოგვცა.

მდგომარეობა რკინის გზაზე.

საერთოდ დღეს რკინის გზის მდგომარეობა დგება ნორმალურ კალაპოტში, განსაკუთრებით ეს ითქმის მატარებელთა მიმოსვლის შესახებ. ამ ერთი თვის წინეთ საქართველოს რკინის გზებზე მოძრაობა ნამდვილ კოშმარათ გადაიქცა. იყო ისეთი მიზეზები და გადაულახავი პირობები, რომ თითქმის შეუძლებელი შეიქნა მოკლე დროში რაიმე წესი და რიგი შეეტანა სამინისტროს ამ საქმეში. მაგრამ შეუწყვეტელი მუშაობისა და რადიკალური ზომების მიღების შემდეგ, საქმე თანდათან გამოკეთდა და, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება.

მაზუთი და ნახშირი.

უმთავრესი მიზეზი რკინის გზაზე მოძრაობის აშლისა იყო სათბობი მასალის კრიზისი. ბაქოდან ერთი გირვანქა ნავთი არ მოდიოდა. ნახშირის წარმოება არ იყო დაყენებული ისეთ ნიადაგზე, რომ ჩვენი მოთხოვნილება დააკმაყოფილებია და პირველ ხანებში შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ზოგი მთელი რკინის გზის მოძრაობის შეჩერებაზედაც კი ფიქრობდა. მთელი ჩვენი ყურადღება ისევ ტყიბულის ქვანახშირს მიეპყრო და, მართლაც, რამოდენიმე კვირაში წარმოებამ თითქოს აიწია და სასურველ კალაპოტში დგებოდა მაგრამ უცბათ მოხდა ტყიბულის მუშების ცნობილი გაფიცვა. აღსანიშნავია, რომ ეს გაფიცვა ისე მოულოდნელათ, ისე სწრაფათ მოხდა, და მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი ისეთი უაზრო და შეუსრულებელი იყო, რომ დღესაც გამოურკვეველია—რა იყო, ან ვინ იყო ამის მიზეზი, და რომ ეს გაფიცვა ერთგვარი პროვოკაციის შედეგი იყო—ამაზე თვით ადგილობრივი შეგნებული მუშები აშკარათ ლაპარაკობენ. მაგრამ გაფიცვა გათავდა და, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რამოდენიმე დღის წინეთ თვით მუშებმა სთქვეს უარი თავიანთ პირველ მოთხოვნილებებზე და მუშაობა აღგვითქვეს. ამ ჟამათ მუშაობა კვლავ გაჩაღდა და თუ ასე გაგრძელდა ტყიბულში მივიღებთ ჩვენს საჭიროებაზე მეტ ქვანახშირს.

„ნახშირას“ საზოგადოება.

ტყიბულში მუშაობა გააძნელა აგრეთვე იმ მოვლენამ, რომ ამ მაღაროების მეპატრონეებს საზ. „ნახშირას“ ისეთი უაჩაღური წესით ეწარმოებიათ ეს საქმე, რომ მხოლოთ საუკეთესო „ბლასტში“ გადაეღოთ, და ახალ ნახშირამდე დასვლა ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა.

მაზუთი.

ბაქოდან სათბობ მასალას ყოველ დღე ველით. მაგრამ ჯერ არ იქნა და ვერ მივიღეთ. როგორც. კი მას მიიღებს სამინისტრო—მაშინ დაინიშნება გაორკეცებული მატარებლების მიმოსვლა რესპუბლიკის რკინის გზებზე.

ნავთი.

სამინისტრო აქცევს დიდ ყურადღებას აგრეთვე ნაოსნობის სათანადო დონეზე დაყენებას. ამ საკითხმა გამოძახილი ჰპოვა აგრეთვე ვაჭარ-მრეწველთა წრეებშიაც და უკვე დაარსდა ასეთი საზოგადოება. საზოგადოების მიზანია ნაოსნობა მოაწყოს მდ. რიონზე ფართო მაშტაბით. მოსალოდნელია პირველ ხანებში ფოთიდან სამტრედიამდე იქნეს მოძრაობა.

რკინ. გზის მოსამსახურენი.

რკინის გზის მოსამსახურენიც ამ ჟამათ მეტის ენერგიით ეკიდებიან თავიანთ საქმეს ყოველ შემთხვევაში ეხლა ნაკლებათ მოძრაობს რკინის გზაზე ის დეზორგანიზატორული ხელი, რომელიც წინეთ მოქმედებდა. რასაკვირველია, ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და სამინისტრო მას ებრძვის მთელი თავისი ენერგიით.

ნავთი საქართველოში.

სამი დღის განმავლობაში მინისტრი კახეთში იყო ილდოყანსა და ფხოველის ნავთის წყაროების დასათვალიერებლათ. მინისტრს თან ახლდენ: საერთო საქმეთა მმართველი ფიცხელაური, ინჟ. აბაშიძე, საავტომობილო განყოფილების უფროსი გოგეშვილი და პარლამენტის წევრი ფარნიევი. სჩანს, რომ ნავთი ბევრი იქნება, როგორც ერთ ადგილას ისე მეორეზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ სწარმოებს მხოლოთ წინასწარი მუშაობა. ვინაიდან საბურღვავი და მრავალ სხვ. მანქანების შოვნა ძლიერ გაჭირდა და უცბათ მათი შეძენა შეუძლებელი შეიქნა, ეს მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა. სამინისტრო სცდილობს ნავთის საქმე საქართველოში ისეთ დონეზე დადგეს, რომ აღარ დაგვჭირდეს მისი უცხოეთიდან შემოტანა. ეს არც ისე ძნელი საქმეა, საჭიროა მხოლოთ ცოტაოდენი დრო. ამ მუშაობის სასურველათ დამთავრებაში საჭიროა აგრეთვე კერძო კაპიტალის დახმარებაც, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს კომერსანტებს ჯერ ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ნავთის შადრევანებს ჯერ არ ამოუხეთქავს. მაგრამ წინასწარ მუშაობისას იღებენ ცოტ-ცოტას. მინისტრის იქ ყოფნის დროს $7^1/_2$ საჟენზე ჭაში უცბათ ამოვიდა ნავთის საგრძნობი რაოდენობა. ნავთი იყო სრულიად წმინდა, უწყლოთ. გზათა სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელობითაც ეს მუშაობა სწარმოებს, ღებულობს ყოველ გვარ ზომებს, რათა ამ წარმოებამ მაქსიმუმამდე მიაღწიოს და მალე მოგვაშველოს საბთობი მასალით, როგორც მცხოვრებლებს, ისე რკინის გზას. მომავალი ამ წყაროებს აქვს და მთავრობა ეცდება, რომ საკუთარი სიმდიდრე ხელსაყრელ პირობებში მოხმარდეს ქართველ ხალხს.

N. S.

წერილი რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგ სტრიქონებს:

ვინაიდან გაზეთებში გამოქვეყნდა ყალბი ცნობები მეტეხის ციხეშიდგამოცხადებულ სიმშილობის მიზნების შესახებ, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი კომუნისტები (ბოლშევიკები) ვაცნობებთ ამხანაგებსა და დაინტერესებულ პირთ შემდეგს: თვითეული ჩვენთაგანი ზის საპყრობილეში რამოდენიმე თვე ბრალდების წაუყენებლათ და სასჯელის ვადის განუსაზღვრელათ. ჩვენ არა ერთხელ მოვთხოვეთ მთავრობის წარმომადგენელთ ეცნობებიათ ჩვენთვის დატუსაღების მიზეზები, მაგრამ ყველა ჩვენი მოთხოვნა რჩებოდა უშედეგოთ. ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას არა აქვს ჩვენს წინააღმდეგ არავითარი კონკრეტიული ბრალდება და ამიტომ ის სდუმს. მოკლებულნი რაიმე მოქმედების საშუალებას, ჩვენ იძულებული ვიყავით გვეთმინა დრომდე. მაგრამ მსოფლიოს გადატრიალების ხანაში უძლური შევიქენით აგვეტანა ტყვეობა. მოვითხოვეთ რა განთავისუფლება, ჩვენ გამოვაცხადეთ სიმშილობა 19 ოქტომბრიდან. სიმშილობის მეხუთე დღეს, 23 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოგვიგზავნეს თვითეულ ჩვენთაგანს ერთ და იმავე სიტყვებით შედგენილი დადგენილება, შემდეგი შინაარსით: „ჩვენ ხელში არსებულ ცნობებით, ესა და ის პირი, იღებდა მონაწილეობას რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში მომხდარ ბოლშევიკურ გამოსვლებში, და ამიტომ შინაგ. საქ. მინისტრმა დაინახა აუცილებელ საჭიროებათ მოგისაჯოთ თქვენ ამდენი და ამდენი თვით ციხეში ჯდომა.“

ვადა სასჯელისა ქანაობს ოთხიდან და შვიდ თვემდე. ეს დადგენილება აღნიშნულია 16 ოქტომბრის თარიღით. საოცარია, რომ დადგენილება, რომელიც ეხება მოსიმშილეთ, უვარდებათ ხელში მათ სიმშილობის მეხუთე დღეს და მერვე დღეს დაწერის შემდეგ. საოცარია ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ის მართლა დაიწერა 16 ოქტომბერს და არა სიმშილობის გამოცხადების შემდეგ, როგორც ამას უნდა ქონოდა ადგილი, თანახმათ ქალაქის თავის განმარტებისა ქალაქის საბჭოს 21 ოქტომბრის სხდომაზე.

ჩვენთვის ცხადია, რომ მთავრობამ მხოლოთ ეხლა იწყო ჩვენს წინააღმდეგ ბრალდების ძებნა და, რაკი ჯერ ვერაფერი იპოვნა, დაგვდო ბრალი საზოგადოთ და ისიც „მათ ხელში არსებულ ცნობების მეოხებით“, რომელიც აქამდე რაღაც მოსაზრების გამო სასტიკათ იფარებოდა.

დადგენილება დასჯის ვადის შესახებ ჩვენ გვესმის ისე, როგორც მთავრობის სურვილი—მისცეს, თუ გინდ დაუშვებელ დაგვიანებით, კანონიერი ხასიათი თავის მოქმედებას, და გამოანგარიშებულია იმისთვის, რომ შეიტანოს უწესრიგობა ჩვენს წრეში, გვაიძულონ სიმშილობის შეწყვეტა და შემდეგ კი, როცა სასჯელის ვადები გავა, ხელახლა და ხელახლა ეძებონ ჩვენი „დანაშაულობა“.

ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის მთავრობის მიერ განზრახული გამოსავალი და ამიტომ მის დადგენილების საპასუხოთ ვაგრძელებთ სიმშილობას იმავე მოთხოვნით განთავისუფლების შესახებ.

ჩვენთვის კარგათ ცნობილია, რომ მთავრობას უჭირავს „მაგარი კურსი“ და ძლიერ უფრთხილდება თავის „პრესტიჟს“. ჩვენ ნათლადა გვაქვს წარმოდგენილი საითკენაც მივდივართ. მაგრამ, დაგვერთოს ჩვენც ნება დავიცოთ ჩვენი პრესტიჟი და დავიჭიროთ ჩვენი რევოლიუციონური კურსი, ოდესღაც არაუცნობი არსებულ მთავრობის წევრებისთვისაც.

დაბოლოს მივმართავთ გაზეთ „ერთობის“ რედაქციას. ქალაქის საბჭოში ჩვენი სიმშილობის შესახებ შეკითხვის ანგარიშში რედაქციის მიერ სიტყვა სიმშილობა ჩასმულია წინწკლებში (ковычки). ჩვენ მოვითხოვთ რედაქციისაგან თქვას გარკვევით, რას ნიშნავს ეს? თუ ეს განზრახულ მიზნითაა დაშვებული, ჩვენ ვაძლევთ თავს უფლებას რედაქციის ასეთ საქციელს სიმშილით გაფიცულ რევოლიუციონერების წინააღმდეგ უწოდოთ შესაფერისი სახელი.

1. ბუდუ მდივანი, 2. ისიდორე თალაკვაძე, 3. ს. ალავერდოვი, 4. არკადი ელბაქიძე, 5. პარმენ საბაშვილი, 6. მ. ხოშტარია, 7. ს. მაკაროვი.

24 ოქტომბერი, 1918 წ.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.